საქართველოს მთავრობის

დადგენილება №302

2025 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებების განსაზღვრისა და მათთვის სათანადო უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№798-IIმს-XIმპ, 26/06/2025) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1

განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებები, ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებები გადაეცეთ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს:

1.1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების აღჭურვა (კომპიუტერული ტექნიკა; საოფისე ავეჯი და სხვა).

1.2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა (კომპიუტერული ტექნიკა; საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; მერხი; სკამი; დაფა; საოფისე ავეჯი; სამედიცინო კაბინეტები და სხვა სასწავლო რესურსი).

1.3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა (კომპიუტერული ტექნიკა; სასწავლო სახელოსნოები; მერხი; სკამი; დაფა; საოფისე ავეჯი და სხვა სასწავლო რესურსი).

1.4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაფინანსება.

1.5. წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების შესყიდვა და სერტიფიკატების ბეჭდვა.

1.6. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების ბეჭდვა და მიწოდება; სახელმძღვანელოების თარგმნისა და ავთენტურობის დამტკიცებისათვის და გამომცემლობებისთვის გადასაცემი ჰონორარის ხარჯი).

1.7. პირველკლასელი მოსწავლეებისა და მათი დამრიგებლების პორტაბელური კომპიუტერებით (ბუქებით) უზრუნველყოფა.

1.8. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიდეოსამეთვალყურეო კამერების პროექტირება და მონტაჟი.

1.9. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალ

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიდეოსამეთვალყურეო კამერების პროექტირება და მონტაჟი.

2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს:

2.1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

2.2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

2.3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა.

2.4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა.

2.5. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის.

2.6. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა.

2.7. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/ აღჭურვა.

2.8. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/ აღჭურვა.

2.9. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

2.10. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტების/შეშის შესყიდვა.

3. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

3.1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ახალი შენობის მშენებლობა.

3.2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის სრული რეაბილიტაცია.

3.3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი შენობის მშენებლობა.

3.4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შენობის სრული რეაბილიტაცია.

მუხლი 3

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წინადადებების საფუძველზე.

მუხლი 4

დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, უფლებამონაცვლე უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნას კომისია, ამ დადგენილების პირველი მუხლის დანართით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული/ სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრის/ იდენტიფიცირების მიზნით.

მუხლი 5

უფლებამონაცვლე უწყებებისათვის სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის) გადაცემის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ლევან ღირსიაშვილი** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის თანათავმჯდომარე;

ბ) **ლევან ზაუტაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის თანათავმჯდომარე;

გ) **ზაზა კვიციანი** – საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე – კომისიის თანათავმჯდომარე;

დ) **მზია გიორგობიანი –** საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე – კომისიის თანათავმჯდომარე;

ე) **თამარ მემანიშვილი** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსი – კომისიის წევრი;

ვ) **ეკატერინე მაჩიტიძე** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი;

ზ) **ნანა ხმალაძე** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი;

თ) **ნათია ლომთაძე** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი;

ი) **თათია ბარაქაძე** – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;

კ) **მინდია ღლონტი** – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;

ლ) **ნიკოლოზ როსებაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;

მ) **პაატა ჯიოშვილი** – საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი;

ნ) **დავით ვარდიაშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

ო) **დიმიტრი ნადირაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე – კომისიის წევრი;

პ) **ხათუნა მოწაფია** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე (ეკონომიკური, იურიდიული და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის მიმართულებით) – კომისიის წევრი;

ჟ) **გვანცა ვაჟბედაშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

რ) **დავით მესხიშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ს) **ზურაბ რაზმაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ტ) **თამთა ჩხაიძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ეკონომიკური სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

უ) **კონსტანტინე ოდიშარია** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტების მართვის და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ფ) **ნინო ორჯონიკიძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ქ) **პაატა კახიანი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ტექნიკური სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ღ) **ნინო კუჭავა** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კანცელარიის უფროსი – კომისიის წევრი;

ყ) **მარიკა ბაღაშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მთავარი ბუღალტერი – კომისიის წევრი;

შ) **ლელა სვიმონია** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტების მენეჯერი – კომისიის წევრი;

ჩ) **პაატა ჯანგიძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საწყობის მენეჯერი – კომისიის წევრი;

ც) **სოფიო აბშილავა** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი – კომისიის წევრი;

ძ) **დავით ჭიჭინაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ლოჯისტიკის მენეჯერი – კომისიის წევრი;

წ) **ელენე ჩიხრაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს იურისტი – კომისიის წევრი;

ჭ) **ზვიად კობახიძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ბუღალტერი – კომისიის წევრი;

ხ) **ქვარა ჩართოლანი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველი – კომისიის წევრი;

ჯ) **სერგი მესხი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი;

ჰ) **მარიამ თავაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იურისტი – კომისიის წევრი.

მუხლი 6

1. დადგენილება, გარდა ამავე დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებები

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	უფლებამონაცვლე უწყება
32 01 05	სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
32 02 04 04	წარჩინებულ მოსწავლეთა მედლები — სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	წარჩინებულ მოსწავლეთა მედლები და სერტიფიკატები (არსებული ვალდებულება)	
32 02 06 01	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა — სსიპ — საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	
	პროგრამის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების	

	სახელფასო ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები, საწყობის და ტრანსპორტირების ხარჯი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და მიწოდების ხარჯი (არსებული ვალდებულება)	
	სახელმძღვანელოების თარგმნისა და ავთენტურობის დამტკიცების და გამომცემლობებისთვის გადასაცემი ჰონორარის ხარჯი (დაგეგმილი ვალდებულება)	
32 02 10 01	**საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა**	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვისთვის მუნიციპალიტეტების დაფინანსება	
32 02 10 02	**საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა**	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	პროგრამის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები	
	თბილისის საჯარო სკოლების და სსსმ და შშმ მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა (მრავალწლიანი ხელშეკრულება)	
	2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრის (ასრებული ვალდებულება)	
	2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაგემილი ვალდებულება	
32 02 11	**პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი"**	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	პირველკლასელი მოსწავლეებისთვის და მათი დამრიგებლებისთვის პორტაბელური კომპიუტერების (ბუქების) შესყიდვა	
32 02 14 03	**საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებითა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა**	
	ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების და ავტორიზებული საჯარო სკოლებისთვის პრინტერებისა და კარტრიჯების შესყიდვა (არსებული ვალდებულება)	

	ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების და ავტორიზებული საჯარო სკოლებისთვის სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერ(ებ)ის შესყიდვა (არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების და ავტორიზებული საჯარო სკოლებისთვის გადასაცემი პროექტორების შესყიდვა (დაგეგმილი ვალდებულება)	
	საჯარო სკოლების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის პროექტირება და აღჭურვა (არსებული ვალდებულება)	
32 07 01	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება**	
	პროგრამის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები, ექსპერტიზისა და ტრანსპორტირების ხარჯი, დიდთოვლობის გამო სახურავების თოვლისგან გაწმენდა, დასუფთავების მოსაკრებლები	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	საგამოცდო ცენტრების გაგრილების სისტემა	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	სკოლებისთვის გადასაცემი საოფისე ავეჯი (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	სკოლებისთვის გადასაცემი მერხები და სკამები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
	რეაბილიტირებული და ახალაშენებული საჯარო სკოლებისთვის ვერტიკალური ფარდა-ჟალუზები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
	სასკოლო დაფა (1 000 ერთეული) (არსებული ვალდებულება)	
	სკოლების საოფისე ავეჯით აღჭურვა	
	მერხები და სკამები (50 000 ერთეული) (ახალი ვალდებულება)	
	სამედიცინო ოთახის ავეჯი (50 საჯარო სკოლა) (ახალი ვალდებულება)	

	აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის აღჭურვა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის აღჭურვა ფარდა-ჟალუზებით (არსებული ვალდებულება)	
	საჯარო სკოლების პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვა (არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	საჯარო სკოლების პრინტერებით აღჭურვა (არსებული ვალდებულება)	
	საჯარო სკოლების პროექტორებით აღჭურვა (დაგეგმილი ვალდებულება)	
	საჯარო სკოლების დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	Design-Build მეთოდით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	Design-Build მეთოდით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
	აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის მშენებლობა/ზედამხედველობა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
	გასულ წლებში დაწყებული 2 საჯარო სკოლის მშენებლობა (სსიპ – გორის №11 საჯარო სკოლა, სსიპ – ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
	გასულ წლებში დაწყებული საჯარო სკოლების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (13 საჯარო სკოლა)	

	(მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
	გასულ წლებში დაწყებული საჯარო სკოლების ნაწილობრივ სარეაბილიტაციო/გეოლოგია/ პროექტირება/ სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	14 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების პროექტირება (არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	სამშენებლო ნებართვების მოსაკრებლები	
	საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (დაგეგმილი ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
32 07 02	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება**	
	პროგრამის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები, ექსპერტიზისა და სხვა ხარჯები	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	პროფესიული სასწავლებლების საოფისე ავეჯით და მერხებითა და სკამებით აღჭურვა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	მოსაკრებელი	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	გასულ წლებში დაწყებული კოლეჯების მშენებლობა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	პროფესიული კოლეჯების მხარდაჭერა პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის შესაბამისობის უზრუნველყოფა	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება და ქსელზე	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო

	დაერთება (არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	სკოლების პროფესიული პროგრამების ფარგლებში აღჭურვის ხარჯი (დაგეგმილი ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
32 07 03	**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება**	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ცენტრებში არსებული „სასერვერო“ ოთახების (როგორც ცენტრალური, ასევე სარეზერვო) სივრცეებში სარემონტო სამუშაოების დაფინანსება	
	სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
32 07 04	**უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება**	
	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსება	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში ახალი ბიბლიოთეკის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	გასულ წლებში გაფორმებული მრავალწლიანი ხელშეკრულებების ვალდებულება – არსებული ვალდებულება (სენაკის ინოვაციური ჰაბის მშენებლობა და სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ღობის და აუზის მოწყობა)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დამატებითი კორპუსის მშენებლობის პირველი ეტაპი (ახალი ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახურავის რეაბილიტაცია (ახალი ვალდებულება)	

	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (ახალი ვალდებულება)	
	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის შენობის სახურავზე გლობუსის რეაბილიტაცია (ახალი ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი შესყიდვა)	
	საუნივერსიტეტო კონცეფცია (ახალი ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
32 07 05	**საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება**	
	ადმინისტრაციული ხარჯი (პროგრამული უზრუნველყოფა „მნეს“ ქსელის მომსახურება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
	საჯარო სკოლების გათბობისთვის საწვავის/ ბრიკეტების/შეშის შესყიდვის ხარჯი (მრავალწლიანი ხელშეკრულება-არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	საჯარო სკოლების გათბობისთვის საწვავის/ ბრიკეტების/შეშის შესყიდვის ხარჯი (დაგეგმილი ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში რეაბილიტირებული საჯარო სკოლების გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
	ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში რეაბილიტირებული საჯარო სკოლების გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ახალი ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
32 10	**პროფესიული განათლება I (KfW)** პროფესიული კოლეჯის ექსელენს ცენტრის მშენებლობის ფარგლებში თანადაფინანსებით დამატებული ღირებულების გადასახადი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
32 09	პროგრამა „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (WB)“ ფარგლებში სასკოლო მზაობის საკლასო ოთახების მოწყობა რეგიონის 15 საჯარო სკოლაში (საქართველოს მხარის ვალდებულება მსოფლიო	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო

	ბანკის წინაშე)	
32 11	სასესხო შეთანხმება (თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – პროექტი (ADB) საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2020 წლის 9 დეკემბერი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო